საქართველოს გაერთიანებული
წყალმომარაგების კომპანია
UNITED WATER SUPPLY COMPANY OF GEORGIA

N 20568/1
29/12/2021

20568-1-2-202112291743

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის მინისტრს
ბატონ ირაკლი ქარსელაძეს

ბატონო ირაკლი,

მოგახსენებთ, რომ შპს ,,საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“ (შემდგომში - კომპანია) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დაგეგმილი აქვს „კურორტ ბახმაროს წყალარინების/წყალმომარაგების სისტემებისა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობის“ პროექტის განხორციელება, რომლითაც დაგეგმილია ახალი ქსელების, ასევე, სატუმბი სადგურების, სათავე ნაგებობების, ჭაბურღილებისა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობა და ექსპლუატაცია.

აღნიშნული ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობის მიზნით კომპანიას ესაჭიროება, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კურორტ ბახმაროში მდებარე, 5723 კვ.მ. ფართობის მქონე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი. როგორც ჩვენთვის ცნობილია, აღნიშნულ ქონებაზე საჯარო რეესტრში არცერთი სუბიექტის საკუთრების უფლება არ არის რეგისტრირებული.

ამასთან, „მშენებლობის ნებართვის გაცემისა და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 03 ივნისის N255 დადგენილების შესაბამისად, მშენებლობის ნებართვის მაძიებელმა უნდა წარადგინოს სამშენებლო ტერიტორიის შესაბამისი საკუთრების დამდგენი დოკუმენტი *(საკადასტრო მონაცემები და საჯარო რეესტრის ამონაწერი)*.

ასევე, საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის 2008 წლის 18 სექტემბრის N20 დადგენილებით დამტკიცებული „ელექტროენერგიის *(სიმძლავრის)* მიწოდებისა და მოხმარების წესების“ შესაბამისად, ობიექტის ელექტრომომარაგების მიზნით, დაინტერესებულმა პირმა განაწილების ლიცენზიატს უნდა

წარუდგინოს საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტაცია ან უძრავი ქონების მესაკუთრის წერილობითი თანხმობა.

ვინაიდან, მიწის ნაკვეთ*(ებ)*ის კომპანიის კაპიტალში შეტანა დაკავშირებულია გრძელვადიან პროცედურებთან (საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის 2017 წლის 01 დეკემბრის N157/ო ბრძანებით დამტკიცებული ,,საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მართვაში არსებული სუბიექტების კაპიტალში არსებული ან/და ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების განკარგვის წესის" თანახმად, კომპანიის კაპიტალის ცვლილების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სამინისტრო, რომელიც აღნიშნულ საკითხს, თავის მხრივ, ათანხმებს სააგენტოსთან. აღნიშნული უწყებების თანხმობის შემთხვევაში, საწარმოს კაპიტალში ცვლილების შეტანა საჭიროებს საექსპერტო დასკვნის გამცემი პირის *(შემდგომში - ექსპერტი)* ან საშემფასებლო მომსახურების გაწევის უფლების მქონე პირის, რომელშიც დასაქმებულია აკრედიტებულ შემფასებელთა სერტიფიკაციის ორგანოს მიერ სერტიფიცირებული შემფასებელი, საექსპერტო დასკვნას/დასკვნას/შეფასების ანგარიშს, რომლის საფუძველზეც ხდება კომპანიის კაპიტალში შენატანის განხორციელება საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის ბრძანების *(კომპანიის კაპიტალში ცვლილებების შეტანის თაობაზე) გამოცემის გზით. აღნიშნული ბრძანება წარმოადგენს კომპანიის საკუთრების უფლების რეგისტრაციის საფუძველს სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში)* ხშირად ჭიანურდება სანებართვო პროცედურების და მშენებლობის, მათ შორის გამანაწილებელ ქსელზე მიერთების სამუშაოების დაწყება, ასევე მოწყობილი ინფრასტრუქტურის შესაბამისი ელექტრომომარაგება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, პროექტის შეუფერხებლად განხორციელების მიზნით, გთხოვთ გვიშუამდგომლოთ სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს წინაშე, რათა განხორციელდეს:

- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კურორტ ბახმაროში მდებარე, 5723 კვ.მ. ფართობის მქონე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე სახელმწიფოს საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში, წარმოდგენილი საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზის მიხედვით;

- 5723 კვმ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის კომპანიის კაპიტალში შეტანაზე გაცემულ თანხმობასთან ერთად, კომპანიის სასარგებლოდ **გაიცეს ნებართვა** მასზე **სამშენებლო საქმიანობის, გამანაწილებელ ქსელზე მიერთების სამუშაოების წარმოების და ელექტრომომარაგების შესახებ** *(რათა, აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე კომპანიის საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციამდე, არ მოხდეს პროექტის შეფერხება)*

**დანართი: 2 ფურცელი, 1 ციფრული ვერსია.**

**პატივისცემით,**

**ირაკლი ნაფეტვარიძე**

დირექტორის მოადგილე ტექნიკურ საკითხებში

# საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო

# MINISTRY OF REGIONAL DEVELOPMENT AND INFRASTRUCTURE OF GEORGIA

492-01-2-202202171518

N 01/492
17/02/2022

**სსიპ-სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს**

**ასლი: შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას"**

გიგზავნით შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის" 2021 წლის 29 დეკემბრის N20568/1 (სამინისტროში რეგისტრაციის N7672/01; 29/12/2021) წერილს, რომელიც ეხება უძრავ ქონებაზე სახელმწიფო საკუთრების უფლების რეგისტრაციის საკითხს, შემდგომში კომპანიის კაპიტალში შეტანის მიზნით.

გთხოვთ, განიხილოთ და განახორციელოთ:

- ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის კურორტ ბახმაროში მდებარე, 5723 კვ.მ. ფართობის მქონე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე სახელმწიფოს საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში, წარმოდგენილი საკადასტრო აგეგმვითი/აზომვითი ნახაზის მიხედვით;
- 5723 კვმ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის კომპანიის კაპიტალში შეტანაზე გაცემულ თანხმობასთან ერთად, გთხოვთ, კომპანიის სასარგებლოდ გასცეთ ნებართვა მასზე სამშენებლო საქმიანობის, გამანაწილებელ ქსელზე მიერთების სამუშაოების წარმოების და ელექტრომომარაგების შესახებ (რათა, აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე კომპანიის საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციამდე, არ მოხდეს პროექტის შეფერხება).

დანართი: 3 ფურცელი და Winrar-ის ფაილი (ერთი).

ბათუ გურჯიძე

დეპარტამენტის უფროსი (პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი)

ეკონომიკური დეპარტამენტი

საქართველო, 0160, თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 12, ტელ: (+995 32) 510 700; ფაქსი: (+995 32) 510 722

12, Kazbegi Ave., 0160, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 510 700; Fax: (+995 32) 510 722